იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს სპა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 10 (170)

მაისი,

1967 წელი

ბედნიერი ბავშვობა



მწერალთა ფორუმზე

მოსკოვში 22-დან 28 მაისამდე მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების IV ყრილობა. მწერალთა ამ დიდი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა დიდი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყო 30 კაცი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ჩვენ მწერალ-დელეგატთა ერთ ჯგუფს, მარჯვნიდან მარცხნივ — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატები ირაკლი აბაშიძე და კონსტანტინე გამსახურდია, მწერლები — ოთარ ჭელიძე, ალექსანდრე ჭუთათელი, დემნა შენგელაია, გიორგი ნატროშვილი.



დღეს სჭირდებოდა ჯაჭვები

დაუსრულებელი ფოლადის „ნაკადი“

რუსთავი. მეტალურგიაში უკვე რამდენიმე ათეული წელია გამდნარ ფოლადს ციცხვიდან ასხამენ სპეციალურ ფორმებში — ბოყვებში. ლითონი რამდენიმე საათს ცივდება და ზოდად იქცევა. მაგრამ ზოდის ზედა ნაწილი, როგორც წესი, არასრულფასოვანია: გაციების დროს მასში ჩნდება ნიყარები, რომლებიც ლითონს უვარგისს ხდის წარძოებისათვის. საჭირო ხდება ზოდის საკმაო ნაწილის მოცილება, მისი მოჭიმვა ბლუმინგზე და მხოლოდ ამის შემდეგ იგზავნება საგლინავ დგანზე. ამრიგად, მთელი გამოდნობილი ფოლადის მეხუთედი ნაწილი ხელახლა უნდა გადაადნონ.

შარშან რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პირველად საბჭოთა კავშირში საექსპლოატაციოდ გადასცეს ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი, რომელსაც რადიალური კრისტალიზატორები აქვს.

ახლა გამდნარი ფოლადი ციცხვიდან განსაკუთრებულ ძაბრში ხვდება, იქიდან კი კრისტალიზატორში, სადაც ლითონი სწრაფად ცივდება, სქელდება და იღებს ძელის ფორმას. გავარვარებული ძელი ნელა ეშვება. ჭვემოთ მას განსაკუთრებული ლილვაკები მოიტაცებენ. ასე წარმოებს განუწყვეტელი ჩამოსხმა. ზემოთ ციცხვიდან ჯერ კიდევ მოედინება თხელი ლითონის გავარვარებული ნაკადი, ქვემოთ კი ტრანსპორტიორზე ეცემა ფოლადის ერთნაირი ნაჭრები. მათ არ ესაჭიროებათ ბლუმინგზე მოჭიმვა და ერთბაშად იგზავნება საგლინავ დგანზე.

როგორც „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს უთხრა დანადგარის უფროსმა გ. ღოღობერიძემ, განუწყვეტელი ჩამოსხმის ხერხი დიდ სარგებლობას აძლევს წარმოებას. დანადგარის ღირებულება ანაზღაურდა ერთ წელზე ნაკლებ ხანში. გარდა ამისა ლიკვიდირებულია ხელის მძიმე შრომა ჩამოსასხმელ განყოფილებებში, შემცირებულია ცეცხლგამძლე მასალების ხარჯვა.

ქართველი მეტალურგები სრულყოფილად დაეუფლნენ დანადგარზე მუშაობას. ისინი სისტემატურად გადაჭრებით ასრულებენ დავალებებს, იღებენ 200-250-ტონიან ნადნობებს, ნაცვლად წინანდელი 185-ტონიანი ნადნობებისა. მეტალურგებმა მიაღწიეს საბჭოთა კავშირში რეკორდულ მაჩვენებლებს: ასხამენ ნადნობს ნადნობზე 400 ტონის რაოდენობით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 185 ტონისა. ორმაგი ნადნობის ჩამოსხმაში თავი გამოიჩინეს ვაჟა კაჭაყმაძემ, გიზო კენჭაძემ, თეიმურაზ ომანიძემ, არჩილ იშხნელმა, გივი გვარამაძემ, ნოდარ მაჩაიძემ.

რუსთაველებმა ვალდებულება იკისრეს ორმაგი ნადნობი გაადიდონ 460 ტონამდე.

უნივერსიტეტი ესრებს ჭლის

თბილისის უნივერსიტეტი — ქართული სამეცნიერო აზრის, ქართველ სპეციალისტთა აღზრდის კერა — დღითიდღე იზრდება და სულ უფრო ფართოდ შლის მხრებს. თანამედროვე მეცნიერების გიგანტურმა წინსვლამ, მომავლის უდიდესმა პერსპექტივებმა დღის წესრიგში დააყენა უნივერსიტეტის გაფართოება, რადგან ის ხუთი კორპუსი, რომლებიც დღეს ემსახურება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს, ვეღარ იტევს სწავლამოწყურებულ ახალგაზრდობას და მისი ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო ყველა კაბინეტსა თუ ლაბორატორიას. ამიტომაც გადაწყდა თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსები აშენდეს დედაქალაქის მზარდ რაიონში — საბურთალოზე.

უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობამ მრავალი საპროექტო ორგანიზაცია დააინტერესა და აი, უნივერსიტეტში დაათვალიერეს საკონკურსო პროექტების გამოფენა.

გაივლის სულ ცოტა ხანი, სპეციალური ჟიური შეაფასებს ყველა პროექტს და სათანადო შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ ფართოდ გაიშლება გრანდიოზული მშენებლობა... დღეს კი საბურთალოზე, მეექვსე კვარტალის მიღმა უკვე დაწყებულია ახალ კომპლექსში შემავალი მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიური ფაკულტეტების 13-სართულიანი კორპუსის მშენებლობა. სართულები ცისკენ მიიწევს, მალე მის მეზობლად კიდევ სხვა კორპუსების მშენებლობაც დაიწყება.

მხრებს შლის ქართული უნივერსიტეტი.

მშრომელთა სუფრისათვის

საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტის საწარმოები საფუძვლიანად მოემზადნენ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდისათვის. შესრულდა სამუშაოები მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის. ზესტაფონის ხილის წყლების ქარხანაში დამთავრდა ჩამოსასხმელი ავტომატური ხაზის მონტაჟი, რომლის მწარმოებლობაა სამი ათასი ბოთლი საათში. ასეთივე ხაზები მონტაჟდება სამტრედიის ხილის წყლების ქარხანაში, გორის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანაში, თბილისის № 1 ლუდის ქარხანასა და ხილის წყლების ქარხანაში. სასმელს ჩამოასხამენ 0.33 ლიტრი ტევადობის ბოთლებში.

მიმდინარეობს ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის ჩამოსასხმელი საამქროს რეკონსტრუქცია, ხოლო ქარხანა „საირმის“ ჩამოსასხმელ საამქროში გაყვანილია ახალი უჟანგავი ფოლადის მილსადენი. მთავრდება „სკურის“ მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის რეკონსტრუქცია.

ბორჯომში შენდება კიდევ ერთი ჩამოსასხმელი ქარხანა, რომლის სიმძლავრე მიაღწევს 150 მილიონ ბოთლს წელიწადში.

ტრესტის ქარხნებში განუწყვეტლივ უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია. მაგალითად, თბილისის ხილის წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნებში დაინერგა დიფუზიური წესით ციტრუსოვანთა ნაყენის მიღების ახალი ტექნოლოგია, რამაც ეს პროცესი სამ თვიდან ოთხ დღემდე შეამცირა და ბევრად გაუმჯობესა ხარისხი. საწარმოთა ეკონომიური ეფექტი შეადგენს 100 ათას მანეთზე მეტს. ბავშვებისათვის ახალი სასმელის გამოშვება დაიწყო ქუთაისის ხილის წყლების ქარხანამ. კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შეიმუშავა სპირტის გამოუყენებლად წვენების მიღების მეთოდები.

ახლა ტრესტის საწარმოები მოსახლეობას მიაწვდიან 13 დასახელების მინერალურ წყლებს, უალკოჰოლო სასმელებს, აგრეთვე ოცამდე სახეობის სიროფებს. დიდი ყურადღება ექცევა პროდუქციის გარეგნულ გაფორმებას. ლუდი და მინერალური წყლები მალე გამოვა ახალი ეტიკეტებით.

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში რესპუბლიკის მშრომელები მიიღებენ დაახლოებით სამ მილიონ დეკალიტ უალკოჰოლო სასმელებსა და თითქმის ამდენსავე ლუდს.

საქართველოს მინერალური წყლები იგზავნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

გაიზრდება ქართული მინერალური წყლების გაგზავნა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

გმირები ცოცხლობენ

სოხუმელი მხატვრის ტრილოგია

ქართველი მხატვრის ჭოლა კუკულაძის ტილოებში გაცოცხლდნენ ბელორუსიაში პარტიზანული ბრძოლების გმირები.

...ეს იყო დიდ სამამულო ომში გამარჯვების წლისთავის ზეიმის დღეებში. ჭ. კუკულაძემ, რომელიც ბელორუსიაში სტუმრად იმყოფებოდა თავის ფრონტელ მეგობრებთან, თანამებრძოლებთან ერთად კვლავ მოინახულა ვიტებსკის ოლქის როსონის რაიონის ღირსსახსოვარი ადგილები. თანაპოლკელმა მეგობრებმა გაიხსენეს გაფთრებული ბრძოლები მტრის ზურგში, გაიხსენეს, თუ როგორ ანადგურებდნენ ფაშისტებს რკინიგზებსა და გზატკეცილებზე. ოკუპირებულ სოფლებში. მამაცმა პარტიზანებმა მოიგონეს ისინი, ვინც სიცოცხლე გასწირა გამარჯვებისათვის. იმ დღეს 1965 წლის 9 მაისს მიტინგის მონაწილეებს ძმათა სასაფლაოსთან მხატვარი დაპირდა, რომ შექმნიდა სახალხო შურისმგებელთა ცხოვრების ამსახველ სურათებს.

და აი, დღეს ჭოლა კუკულაძე კვლავ ასრულებს შორეულ მოგზაურობაში წასვლას. მას თან მიაქვს ჩაფიქრებული ტრილოგიის ერთ-ერთი სურათი. „კრასნოგორიეს ტრაგედია“ — ასე უწოდა მწატვარმა ამ ტილოს. ახლა ჭ. კუკულაძეს ბელორუსიაში მიაქვს საჩუქარი თავისი მეგობრების — სოფელ კრასნოპოლიეს მცხოვრებლებისათვის.

სახალხო შურისმგებელთა გმირობის თემამ გაიტაცა მხატვარი. მის სახელოსნოში არის ახლა დიდი ტილო „გადასვლა“. ეს დოკუმენტური ნაწარმოებია. მისი პერსონაჟები მდინარის გადალახვის. იმ ბრძოლის ნამდვილი მონაწილენი არიან, რომელშიც ბელორუსმა პარტიზანებმა გაანადგურეს თავით-ფესვამდე შეიარაღებული ფაშისტ დამსჯელთა რაზმი. პარტიზანთა პორტრეტები მხატვარმა შექმნა ფანქრით შესრულებული იმ ჩანახატების მიხედვით, რომლებიც შემორჩა. მალე სოხუმელი მხატვრის ეს ნამუშევარიც წავა როსონში და საპატიო ადგილს დაიკავებს „კრასნოპოლიეს ტრაგედიის“ გვერდით.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

შეხვედრები საფრანგეთში

მიმდინარე წლის დასაწყისში საფრანგეთში თავის ნათესავებთან რამდენიმე თვით სტუმრად იმყოფებოდა მცხეთელი **ოთარ კობიაშვილი.**

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ოთარ კობიაშვილს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

— **ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მეტად საინტერესო იქნება თქვენი ბიოგრაფია, განსაკუთრებით კი საფრანგეთის პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობა და ომის შემდეგდროინდელი ცხოვრება. გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ ამის შესახებ.**

— მცხეთაში დავიბადე და გავიზარდე. სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, ომი რომ დაიწყო. სამშობლოს დამცველთა რიგებში მეც ჩავდექი, მაგრამ ფრონტზე ერთ-ერთი შეტაკების დროს დავიჭერი და ტყვედ ჩავუვარდი გერმანელ ფაშისტებს. 1944 წლის იანვარში ბანაკიდან გავქცევა მოვახერხე და ფრანგ პარტიზანებს შევუერთდი. ვმონაწილეობდი ქალაქების ტიულის, ბრივის, პერიგიუს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მიღებული მაქვს საფრანგეთის მთავრობის რამდენიმე ჯილდო. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩემს ფრანგ მეგობარ ქალიშვილთან ჟოზეტ დეუეირთან ერთად საქართველოში დავბრუნდი და კვლავ მცხეთაში დავესახლე. ამჟამად ვმუშაობ მცხეთაში სამშენებლო სამმართველოს საწყობის გამგედ. მყავს სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. უფროსმა ვაჟმა დაამთავრა საშუალო სკოლა და ამჟამად სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის საბჭოთა არმიაში. ქალიშვილი წელს ამთავრებს საშუალო სასწავლებელს. მეორე ვაჟი ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში სწავლობს.

— **რამდენ ხანს დაჰყავით სტუმრად საფრანგეთში? გჭონდათ თუ არა შეხვედრები თქვენს ყოფილ თანამებრძოლებთან? რა შთაბეჭდილებანი დაგრჩათ ამ შეხვედრებიდან?**

—საფრანგეთში ჩემს მეუღლესთან და ქალ-ვაჟთან ერთად გავემგზავრე. იქ ორთვენახევარზე მეტ ხანს დავრჩით. ძირითადი დრო ჩემი მეუღლის მშობლებთან მეუზის დეპარტამენტში გავატარე, მაგრამ მაინც მოვასწარი შევხვედროდი ჩემს ნაცნობ პარტიზანებს და თანამემამულეებს. ჩემთვის დაუვიწყარია ის გულთბილი შეხვედრა, რომელიც დორდონის დეპარტამენტის პარტიზანული მოძრაობის ყოფილმა ხელძღვანელებმა მომიწყეს. დამთაყოლიერებინეს ის ადგილები, სადაც ერთად ვიბრძოდით გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ. ქალაქ პერიგიუში, იქ, სადაც ფაშისტი ჯალათების მიერ ნაწამები 9 ქართველი პარტიზანი განისვენებს, ერთად მოვიყარეთ მუხლი და სიყვარულით გავიხსენეთ ბრძოლებში დაცემული თანამებრძოლნი. მე ორიოდე პეშვი ქართული მიწა მოვაბანე ძმათა საფლავს და მცხეთიდან ჩამოტანილ კერამიკულ ქოთნებში ჩარგული ყვავილებით შევამკე.

ქალაქ ტიულში ვინახულე ყაზარმა, სადაც ომის დამთავრებისას ვცხოვრობდით ქართველი პარტიზანები. ამ ოცი წლის განმავლობაში ყაზარმა მრავალგზის შეუღებიათ და შეუკეთებიათ, მაგრამ სახლის შესასვლელთან ჩემი ხელით მიხატული დიდი წითელი ვარსკვლავი და საპარველმაისო მოწოდებანი ხელუხლებლად დაუტოვებიათ, როგორც გარდასულ დღეთა საუკეთესო მოსაგონარი, საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობის სიმბოლო, საძულველი მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში შობილი ძმობის ნათელი დასტური.

საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ ყველგან, სადაც უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის ვგრძნობდი ფრანგების დიდ სიმპათიას ქართველი ხალხისადმი.

— **თქვენ ალბათ საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეებთანაც გქონდათ შეხვედრები. რას გვეტყოდით მათ შესახებ?**

— თანამემამულეებთან შეხვედრები კიდევ უფრო ამაღელვებელი იყო, მათს უმეტესობას პარიზში არსებულ ქართულ ეკლესიაში გამართულ წირვაზე შევხვდი. ეს ეკლესია ერთი ჩვეულებრივი მოზრდილი ოთახია ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე. ყოველ კვირადღეს აქ იყრიან თავს პარიზში მცხოვრები თუ სტუმრად ჩამოსული ქართველობა. რადგან პარიზში სწორედ კვირადღით მოვხვდი, შემთხვევით ვისარგებლე და ეკლესიას მივაშურე. წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს, ირგვლივ კი უმეტესად ფრანგული საუბარი ისმის. თვითონ მღვდელი მელიაც, როცა რაიმე განცხადების გაკეთება სურს, ფრანგულად მიმართავს თავის მრევლს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საფრანგეთში დაბადებულ ქართველთაგან ძალიან

(დასასრული მე-6 გვ.)



სურათზე: ო. კობიაშვილი (ცენტრში) თავის ფრანგ თანამებრძოლებთან ერთად ქართველ პარტიზანთა საფლავზე.

ქართული პოლიმერები

პოლიმერული მასალები ფართოდ ინერგება საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგში. თუ როგორ ინერგება ისინი რესპუბლიკის მრეწველობაში, ამის შესახებ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს უამბო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნ. ი. ავალიანმა.

— საქართველოს ქიმიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ მრეწველობაში ახალი სინთეზური მასალების გამოყენებას. პლასტმასები, რომლებშიც შერწყმულია ელასტიკურობა, დრეკადობა, შეიძლება ბეტონივით მტკიცე და მინასავით გამჭვირვალე იყოს. მათი დამუშავება ისე ადვილია, როგორც ხისა. ისინი ცეცხლში არ იწვიან, ჰაერზე არ იჟანგებიან.

პლასტმასის დიდი მომხმარებელია მანქანათმშენებლობა. პლასტმასები 20-25 პროცენტით ამცირებენ ფოლადის ხარჯვას, რამდენიმე ათეული კილოგრამით ამსუბუქებენ მანქანას, საშუალებას გვაძლევენ მოკლე ხანში ერთი მარკის მანქანის წარმოებიდან გადავიდეთ მეორე მარკის წარმოებაზე. პლასტმასის დეტალებმა საუცხოოდ ჩააბარეს სიმტკიცის გამოცდა, ბევრად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხნებში, სახეხი ჩარხების ქარხანაში. ჩარხებზე დადგმულმა პლასტმასის ათობით დეტალმა საუცხოოდ ჩააბარეს გამოცდები — ისინი დიდხანს ძლებენ და ბევრად იაფია.

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა ყოველთვიურად იძლევა ასობით ტონა კაპრონს. იგი ხმარდება ავტომობილების საბურავების დამზადებას, კორდონის ბოჭკო წარმატებით გამოიყენება ულპობი ბადეებისა და ბაგირების დასამზადებლად თევზის მრეწველობისათვის, აბრეშუმის, ტრიკოტაჟისა და სხვა ნაწარმის დასამზადებლად. რუსთავის კაპროლაქტამი მილსადენებით გადაეცემა ქიმიური კომბინატიდან სინთეზური ბოჭკოს ქარხანას.

მაგრამ პოლიმერული მრეწველობა მარტო რუსთავის ქარხნებში როდი ვითარდება. დახურული ელექტროღუმელების წარმავალი გაზების ბაზაზე ზესტაფონში მოეწყობა პოლიეთილენის წარმოება. ეს მასალა კარგად იწვნეხება, ივალცება და კარგად ჩამოისხმება სხვადასხვა ფორმით. პოლიეთილენისაგან დამზადებული ჭურჭელი ლითონისაზე გაციებით იაფია, არ იმტვრევა, არ იჭყლიტება და კარგად ირეცხება. პოლიპროპილენს, რომელიც თავისი თვისებებით ახლოს დგას პოლიეთილენთან, გამოუშვებს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. პოლიპროპილენის ნედლეულად გამოიყენებენ ნავთობპროდუქტების გადამუშავების დროს წარმოშობილ გაზებს. ამ სინთეზური მასალისაგან შეიძლება დავამზადოთ დიდად გამძლე მილები, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან ფოლადისას, აგრეთვე სხვადასხვა მასალა მანქანათმშენებლობისათვის.


ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში ამუშავდა რაბდოპისიტის პრესფხვნილის საცდელი დანადგარი. იგი ფართო გამოყენებას პოვებს ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

მომავალში მწყობრში ჩადგება ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრენი. ტყიბულში აშენდება რაბდოპისიტის ფხვნილის ქარხანა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულზე იმუშავებს. წულუკიძეში გაფართოვდება სინთეზური ნაწარმის ქარხანა, რომელიც საოჯახო საგნებს გამოუშვებს. გათვალისწინებულია ფართო პროფილის ახალი პლასტმასის ქარხნის მშენებლობა ხაშურში. აქ გამოუშვებენ პლასტიკურ მასალებს, რომლებსაც ფართოდ გამოიყენებენ კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში.

ქიმიკოსთა ამოცანა მარტო ის როდია, რომ ლითონის დეტალები პლასტმასით შეცვალონ. ცდებმა გვიჩვენეს, პლასტმასები იმდენად კარგად უერთდებიან ლითონებს, რომ სხვადასხვა დეფორმაციის დროსაც კი დეტალები ფენებად არ იშლება. ახლა ვსწავლობთ სხვადასხვა პირობებში ლითონისა და პლასტმასის შეუღლების შესაძლებლობებს.

საქართველოს
ს. ჯანაშიას სახელობის
სახელმწიფო მუზეუმის
100 წლისთავი

დიდი ეროვნული საგანძური



საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხედი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

საქართველოს მუზეუმის ექსპონატები ობიექტურად, მიუკერძოებლად მოგვითხრობენ ჩვენი ხალხის ისტორიაზე.

მნიშვნელოვან ნივთთა მოვლა-დაცვის ტრადიციას ჩვენში უძველეს წარსულში აქვს ფესვები გადგმული: ისინი ინახებოდა ოჯახებში, ეკლესიებში, მეფეთა სალაროში, გამოქვაბულებში. ხვამლის სამალავში დაცული იყო ვახტანგ გორგასალის ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი, თამარ მეფის პირადი ნივთები. სამების მონასტერში ინახებოდა მცხეთის ტაძრის განძი, მრავალძალის ეკლესიაში (რაჭა) — ჯალალ-ედინის მუზარადი და შაჰ-აბასის ხმალი. სულხან-საბა ორბელიანს ჩამოთვლილი აქვს ვახტანგ VI-ის მუზეუმის ექსპონატები. თეიმურაზ ბაგრატიონი შრომაში „ისტორია ივერიისა“ დაწვრილებით აგვიწერს ერეკლე II-ის მუზეუმს, რომელიც აღა მაჰმად-ხანმა გაატიალა.

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის — რ. ერისთავის, მ. თუმანიშვილისა და სხვათა თაოსნობით 1852 წელს დაიწყეს სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება. პირველ წელსვე თავი მოუყარეს 104 ექსპონატს. შეიქმნა ეთნოგრაფიის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო კაბინეტები. 100 წლის წინათ, 1867 წელს თბილისში ამ ექსპონატების ბაზაზე გაიხსნა კავკასიის მუზეუმი.

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების შევსებისათვის იღწვოდნენ ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. სწორედ მათი დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა ქართველ ეთნოგრაფთა კადრი. მოეწყო მეცნიერულ პრინციპებზე აგებული გამოფენები: სვანეთი, ხევსურეთი, საჭურველი, ქართული ჩაცმულობა, ხალიჩები, ქართული ჩუქურთმა, კოსტიუმები, საქართველოს ძველი და ახალი ყოფა და სხვ.

წინაფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება მუზეუმის ერთ-ერთი უძველესი უჯრედია. მის ფონდში 50.000-ზე მეტი ექსპონატია აღრიცხული. მარტო უკანასკნელ 10 წელიწადში შემოვიდა ძირითადად გათხრებით მოპოვებული 30.000-მდე ექსპონატი. რამაც საშუალება მოგვცა ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1961 წელს გაგვეხსნა ახალი არქეოლოგიური გამოფენა, რომელიც ასახავს ქართული არქეოლოგიის განვითარების დღევანდელ დონეს. მუზეუმის არქეოლოგია გამოფენა ახალი სიტყვაა გამოფენის ხელოვნებაში მას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა.

1959 წელს მუზეუმში დაარსდა ნუმიზმატიკის განყოფილება, რომელსაც მნიშვნელოვანი კოლექცია აქვს. აქვეა ქიმიურ-სარესტავრაციო განყოფილება, რომელიც აქტიურად მუშაობს დაზიანებული ექსპონატების აღდგენა-დაცვისათვის.

მუზეუმში არსებობს აგრეთვე ბოტანიკის, გეოლოგიის განყოფილებები.

1937 წელს მუზეუმში ჩამოყალიბდა ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება. აქ წარმოდგენილია ქართველი ხალხის კულტურა ქრისტიანობის მიღებიდან XIII საუკუნემდე.

1938 წელს ყოფილ ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ამჟამად მუზეუმის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გახსნილია დიდი გამოფენა, სადაც დამთვალიერებლები ეცნობიან საქართველოს მთელ ისტორიას დღემდე.

საქართველოს მუზეუმი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედის. აქ ამჟამად 230-ზე მეტი თანამშრომელია. მათი უმეტესობა მუშაობს საკვალიფიკაციო თემებზე. თანამშრომელთაგან 43 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. აქ ყოველწლიურად ეწყობა „მუზეუმის მოამბე“ და ტარდება სამეცნიერო სესიები.

პირველი ქართული სამეცნიერო დაწესებულება — საქართველოს მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული კერა და დიდი ეროვნული საუნჯეა.

ჯ. ჩოლოყაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გვესაუბრება კინორეჟისორი

„ეს რა ახალგაზრდობა მოდის!“

ახლე ეწყდება ქართული კინოსტუდიის ახალ ფილმს, რომელსაც იღებს რეჟისორი რ. ჩხეიძე ს. ჭლენტის სცენარის მიხედვით. წარსულში ამ შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგი იყო ფილმი „ჯარისკაცის მამა“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

— უველაზე მეტად, — ამბობენ ჩხეიძე და ჭლენტი, — ჩვენ ის გვაშინებს, რომ გამეორება არ გამოგვივიდეს, მით უმეტეს, ფილმი ასახავს დაახლოებით იმავე წლების მოვლენებს, რასაც წინა ფილმი. მაგრამ „ჯარისკაცის მამისაგან“ განსხვავებით ახალ ფილმში წინა პლანზე იქნებიან ბავშვები. ფილმის გმირები არიან ჭაბუკები, რომლებიც ათწლედს ამთავრებენ, ჩვეულებრივი ჭაბუკები, უდარდელები, რომლებსაც თითქოს მარტო ბურთის თამაში აინტერესებთ.

— ეს რა ახალგაზრდობაა, — ოხრავენ მოხუცები. — რა გამოვა მათგან? ჩვენ კი მათ წლებში...

იწყება ომი. ბიჭები ფრონტზე მიდიან. თავდაპირველად მათ იტაცებს გმირობის რომანტიკა. მათ სწყურიათ თავგადასავალი. მაგრამ ომი ომია. სიძნელეებს მიუჩვეველი ბიჭები უმწეონი აღმოჩნდნენ და ოფიცრების აღშფოთებას იმსახურებენ. — ეს რა მეომრებია! — ამბობენ მათზე.

მაგრამ აი ჩვენი ჯარები უკან იხევენ, თითოეულ ჯარისკაცს მოეთხოვება ძალების მაქსიმალური დაძაბვა. და ჭაბუკები ვუკაცდებიან. მათ გაიგეს, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ სამშობლო საფრთხეშია, და თავდადებით იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. ერთ-ერთ ბრძოლაში ბევრნი იღუპებიან, მაგრამ სიცოცხლის ფასად წყვეტენ დიდმნიშვნელოვანი ბრძოლის შედეგს.

— ტრაგიკული ფინალის მიუხედავად, — ამბობს რ. ჩხეიძე, — ფილმი დაამკვიდრებს სიცოცხლეს, ადამიანის ნათელი მომავლის რწმენას.

საბჭოთა ახალგაზრდობას, მის ოცნებებს, ფიქრებსა და ადგილს ცხოვრებაში ფიქრობს მიუძღვნას თავისი შემდეგი ფილმი რეჟისორმა რ. ჩხეიძემ. ეს იქნება ამბავი ახალგაზრდებისა, რომელთა ხელით აღდგა ომით დანგრეული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

ხელები საკუთარ „სახლში“

შუახანის ცისფერთვალება მომღიმარ ჩეხ **ზდენეკ კრიეს** ამ გაზაფხულზე ნახავდით თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ლაგოდეხის ნაკრძალებში, ბორჯომის ხეობაში და შავი ზღვის სანაპიროზე. იგი ადიოდა კლდეებზე, ეშვებოდა უფსკრულში, დღეში გადიოდა ათობით კილომეტრს. ზოგჯერ ჩერდებოდა რომელიმე ხესთან, ამოიღებდა ბლოკნოტს, ფანქარს და ხე ქაღალდზე გადადიოდა ნახატისა და საფუძვლიანი აღწერის სახით.

ზდენეკ კრიეი კარგად იცნობს საქართველოს. აქ სამე მარტო ის კი არ არის, რომ იგი მეოთხედ ჩამოვიდა ჩვენში, არამედ ის ხერხი, რომლითაც სწავლობს მის ბუნებას. მას შემოვლილი აქვს საქართველოს მთა-ბარი.


მორავიის საოლქო ჰერბარიუმის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა 33 წლის ზდენეკ კრიემა თავის სპეციალობად აირჩია ხეების ეკოლოგია. იგი ხეებს სწავლობს მათ სამშობლოში. ჩეხოსლოვაკიაში, გვიამბობს ახალგაზრდა მეცნიერი, ხარობს 35 სახეობის წიწვიანი და ფოთლოვანი ხე, რომლებიც კავკასიიდან გადასახლდნენ იქ. საინტერესოა, როგორ გამოიყურებიან ისინი ჩვეულებრივ გარემოში, რა ფორმებს იძენენ საკუთარ „სახლში“? საქართველოში ზდენეკ კრიეის მივლინების ეს წმინდა მეცნიერული მიზანი მჭიდროდ არის გადახლართული პრაქტიკულ მიზანთან: ოსტრაველმა ბოტანიკოსებმა გადაწყვიტეს შექმნან მორავიის ოლქში ჰერბარიუმში კავკასიის ფლორის კუთხე. ამისათვის საჭიროა სულ ცოტა 150 სახეობის ხის ინტროდუქცია კავკასიის იმ სამასი სახეობის ხეებიდან, რომლებიც ჩვენმა სტუმარმა შეისწავლა.

ზდენეკ კრიეის უბის წიგნაკში ახალი ნაცნობების — ქართველი ბოტანიკოსების, მეტყევეების, დენდროლოგების 250 მისამართია. იგი აპირებს მეცნიერული ურთიერთობა დაამყაროს მათთან, გაუცვალოს ბოტანიკური ლიტერატურა.

გამოთხოვებისას ზდენეკ კრიემა გაგვიზიარა შთაბეჭდილება საქართველოს ქალაქების მწვანე სამოსის შესახებ.

— მწვანე მშენებლობა თქვენი რესპუბლიკის ქალაქებში, როგორც ჩანს, დიდი გაქანებით წარმოებს. გვაცებს, როგორ არის გამოყენებული თითოეული თავისუფალი ნაგლეჯი მიწა სკვერების, ბაღების, ღია ეზოების შესაქმნელად. ჩემს სამშობლოში გამწვანებას წმინდა გაფორმების, დეკორაციული მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ცხელი კლიმატი კი მას უფრო ღიდ მნიშვნელობას ანიჭებს: მან უნდა შეანელოს სიცხე.

ქართველი ენათმეცნიერების ბერეშსა



აკაკი შანიძე

80 წელი შეუსრულდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს აკაკი გაბრიელის-ძე შანიძეს.

აკაკი შანიძე თბილისის საენათმეცნიერო სკოლის მეთაურია და ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი ნაშრომები ფართოდ არის ცნობილი მსოფლიო მეცნიერულ საზოგადოებაში. ქართველურ ენათა სტრუქტურა და ისტორია, ქართული დიალექტოლოგია, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაცია, ფოლკლორისტული ტექსტოლოგია, ალბანოლოგია, სახელმძღვანელოები, — აი სფეროები, სადაც ჩვენმა დაუღალავმა მეცნიერმა ფუძემდებლური ნაშრომები შექმნა.

აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს სოფელ ნოღაში. ჭუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს, იგი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. აქ ისმენდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს, როგორიც იყვნენ: ნ. მარი (ქართულ-სომხური ფილოლოგიის დისციპლინები), ივ. ჯავახიშვილი (საქართველოს ისტორია), ნ. ჭუკოვსკი (სპარსული ენა), ა. შმიდტი (არაბული ენა), ნ. ადონცი (ახალი სომხური ენა) და სხვ. 1911 წელს აკაკი შანიძეს ირჩევენ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელად. ამ წრემ შემდგომ გამოსცა დიდად მნიშვნელოვანი წიგნი „ქართული ბიბლიოგრაფია“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. 1912-1913 წლებში აკაკი შანიძე თანამშრომლობს „რუსულ ენციკლოპედიაში“, ათავსებს სტატიებს: „ვახტანგ VI“, „ქართული ანბანი“, „ქართული ენა“ და სხვ. 1913 წელს ა. შანიძეს ნ. მარის წარდგინებით ტოვებენ ასპირანტად. იმავე წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში იბეჭდება აკაკი შანიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი ქართული დიალექტების შესახებ.

1918 წელს აკაკი შანიძე გადმოდის თბილისში და დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში.

1919 წლიდან აკაკი შანიძე უნივერსიტეტში განაგებს ქართული ენის კათედრას. 1920 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1923 წელს იგი გიორგი ახვლედიანთან ერთად აარსებს „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ლინგვისტური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით.

1939 წელს აკაკი შანიძეს ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აკაკი შანიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. იგი იყო ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, ვიცე-პრეზიდენტი და სხვ.

აკაკი შანიძემ დაგვიწერა პირველი მეცნიერული გრამატიკა ახალი ქართული ენისა. ოციანი წლებიდან მოყოლებული იგი აქვეყნებს ცალკეულ ნაშრომებს, რომლებშიც გამოვლინებული და დახასიათებულია უცნობი გრამატიკული კატეგორიები. 1930 წელს გამოცემული „ქართული გრამატიკა“ ადრე მიღებული მეცნიერული შედეგების შეჯამებაა. ეს წიგნი მოასწავებს ახალ ეტაპს ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში და ადასტურებს ქართველოლოგიის აღმავლობას. ავტორმა გაარკვია ქართული ზმნის ბნელით მოცული საკითხები და ფარდა ახადა ქართული მორფოლოგიის ამ მეტად რთული და საინტერესო ნაწილის საიდუმლოებას. შემდგომ წლებში ა. შანიძე კიდევ უფრო აღრმავებს კვლევა-ძიებას ქართული გრამატიკის დარგში. 1953 წელს გამოცემული „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (I. მორფოლოგია)“ კაპიტალური წიგნია, რომელიც უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა ქართველოლოგიის დიდ მიღწევად.

ა. შანიძის სახელთან დაკავშირებულია ძველი ქართული ენის ძეგლთა ფილოლოგიური გამოცემები. მან დააარსა გამოცემათა სერიები და დღის სინათლეზე გამოიტანა მრავალი მნიშვნელოვანი ტექსტი. ფართოდ ცნობილია ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ენობრივი ძეგლების პუბლიკაციები, რომლებმაც ახალი ხანა შექმნა ქართული ფილოლოგიის ისტორიაში. ა. შანიძის მეცადინეობით განხორციელებულია ქართული ოთხთავის მეცნიერული გამოცემა, აღსანიშნავია აგრეთვე სინური ქრესტომათიის გამოცემა, რომელსაც ერთვის ვრცელი გამოკვლევა, სადაც გადმოცემულია ხელნაწერის შექმნის ისტორია და მოცემულია დაკვირვებები ენის თავისებურებათა შესახებ.

ა. შანიძე ნ. მართან ერთად ქართული მეცნიერული დიალექტოლოგიის საფუძვლის ჩამყრელია. მის მიერ გამოცემული ტექსტები სანიმუშოა და გზისგამკვლევი. მან დიდი ამაგი დადო მთის კილოების შესწავლას, გამოაქვეყნა ძვირფასი მასალა, ლექსიკონი და გრამატიკული მიმოხილვა. ჯერ კიდევ ადრე, 1916 წელს ა. შანიძემ ი. ყიფშიძესთან ერთად პეტერბურგში გამოაქვეყნა დიალექტიკური მასალის შეგროვების პროგრამა-ინსტრუქცია. ჩვენს მკვლევარს ეკუთვნის ქართული კილოების მეცნიერული კლასიფიკაცია.

ა. შანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. პროფესორ ი. ყიფშიძესთან ერთად მან გამოსცა საბას უკვდავი ქართული ლექსიკონი, შეისწავლა და გამომზეურა ვაჟა-ფშაველას სიტყვობრივი საუნჯე, ლექსიკონი დაურთო „ვეფხისტყაოსანს“, გ. მთაწმინდელის თხზულებას, მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა რუსთაველის უკვდავი ქმნილების სიმფონია, მანვე მოგვცა მრავალი სიტყვის ეტიმოლოგია და სხვა.

ა. შანიძემ თავისი სპეციალური გამოკვლევით გაამდიდრა რუსთველოლოგიური ლიტერატურა. მან აღადგინა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა, საფუძვლიანად შეისწავლა და ამ ფუნდამენტალური კვლევის შედეგები მკითხველს წარუდგინა რუსთველის საიუბილეო დღეებში 1937 წელს. შემდეგ აღსანიშნავია ის დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე, რომლებიც ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა და მთლიანი სახით მოთავსდა წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“. (გამოვიდა მარშან რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით). შარშანვე გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ (ტექსტი და ვარიანტები), გამოცემული ა. შანიძისა და არ. ბარამიძის მიერ.

ა. შანიძე უნდა ჩაითვალოს აკადემიური ტექსტოლოგიის მამამთავრად ქართულ ფოლკლორისტიკაში. 1931 წელს გამოცემული ხევსურული პოეზიის ნიმუშები, რომლებსაც ახლავს მდიდარი სამეცნიერო აპარატი — ვარიანტები, ინდექსები, გამოკვლევა, მოასწავებს ახალ საფეხურს ზეპირსიტყვიერების მასალათა მეცნიერული გამოცემის დარგში.

ა. შანიძის სახელმძღვანელოებზე იზრდება ჩვენი ნორჩი თაობა და ითვისებს ქართული ენის საფუძველს; ა. შანიძისავე შეუნელებელი ზრუნვის საგანია ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა, ბრძოლა მეტყველების კულტურის ასამაღლებლად.

ა. შანიძე დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს მეცნიერულ მუშაობას და ახალ-ახალი გამოკვლევებით ამდიდრებს ქართველოლოგიას.

შ. ძიძიგური,
პროფესორი.



სურათზე: პროფესორები ალ. წერეთელი, აკ. შანიძე და ი. ცინცაძე სტუმრად მჭადიჯვრელ კოლმეურნესთან.

ფოტო გ. შეყილაძისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

შეხვედრები საფრანგეთში

(დასასრული).

ცოტამ იცის მშობლიური ენა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პარიზში არ არსებობს არათუ ქართული სკოლა, არამედ ქართული ენის შემსწავლელი უბრალო წრეც კი. ვიდექ უცხოელ თანამემამულეთა შორის და მწარედ ვფიქრობდი: კიდევ რამდენიმე ათეული წელი, და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს გვარების გარდა ალბათ სხვა აღარაფერი შერჩებათ-მეთქი ქართული. ენა ხომ ერის სიმტკიცის წყაროს, მის საფუძველს წარმოადგენს! „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“, უთქვამს ჩვენს სახელოვან პოეტს. წახდენაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ ასე წავიდა საქმე, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა შორის მალე სანთლით საძებარი გახდება მშობლიური ენის მცოდნე კაცი. ამან არ შეიძლება არ დააღონოს ყოველი პატიოსანი მამულიშვილი. როგორღა გინდა გააგებინო შენი სიხარული თუ გაჭირვება სამშობლოს, თუკი მისი ენა — მშობლიური ენა დაგავიწყდება?

წირვის დამთავრების შემდეგ მრავალი ნაცნობი და უცნობი შემომეხვია. ბევრს აინტერესებდა სამშობლოდან ჩამოსული კაცის ნახვა და მასთან საუბარი. ზოგი ძმასავით გადამეხვია, კეთილი მგზავრობა მისურვა და დახმარებაც კი შემომთავაზა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ოცდახუთიოდე წლის წინათ საკუთარი სიცოცხლის რისკით თავის ჭერქვეშ მიფარავდნენ ახალგაზრდა უცნობ თანამემამულეს. მაშინ ჩვენ საერთო გვქონდა გაჭირვებაც და დალხინებაც, მუდამ მხარში ვედექით ერთიმეორეს.

ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ზოგი მსხვერპლი გახდა ჩვენი ქვეყნის მტერთა პროპაგანდისა, ზოგს ვაჟკაცობა არ ეყო და შეშინდა; სხვები საფრანგეთში შექმნილმა ახალმა ოჯახმა მიაჯაჭვა უცხოთა მიწაზე. მე სხვა გზა ავირჩიე. და აი ჩვენ კვლავ შევხვდით ოცი წლის შემდეგ საფრანგეთის მიწაზე.

ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნად ამ ხნის განმავლობაში. შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობა, შეიცვალა თვით ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებაც.

სახეზე ადვილად ვიცანი თითქმის ყველა ჩემი ძველი ნაცნობი, მაგრამ ზოგიერთის ხასიათში მომხდარმა ცვლილებებმა მაინც დიდად გამაკვირვა. მე ვნახე რამდენიმე მორიდებული თუ დამფრთხალი ადამიანი, რომელნიც ორ სიტყვას არ ამბობდნენ ზედიზედ, მაგრამ მუდამ რატომღაც შიშით აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით, ზედმეტი ხომ არაფერი წამოგვცდაო. ვნახე ისეთებიც, რომელნიც ძალიან ბევრსაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისე ფრთხილად, ისე დახელოვნებულად, რომ გულთმისანი უნდა ყოფილიყავი გაგეგო, თუ რა ამოძრავებდათ ამ ადამიანებს — სამშობლოსადმი სიყვარული, მისი სიძულვილი თუ უბრალო ცნობისმოყვარეობა. იყვნენ უფრო „გულახდილნიც“. ერთი-ორი მათგანი თავის დამოკიდებულებას საბჭოთა საქართველოსადმი უსაფუძვლო, მწარე და მოუფიქრებელი სიტყვებით გამოხატავდა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, როცა ცხოვრებისაგან განაწყენებულ ადამიანში გონებაზე უფრო ძლიერი ვნება აღმოჩნდება ხოლმე.

იმათგან, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ „უკომპრომისო ბრძოლას“ შეალია, თითქმის აღარავინ დარჩა. მათ ადგილზე მოვიდა რამდენიმე გაბოროტებული და გადაგვარებული ადამიანი, რომლებმაც ლაჩრობისა და გონებრივი შეზღუდულობის გამო ვერ გაიგეს ან არ გაიგეს სიმართლე, სამშობლოსკენ მომავალი გზაც დაკარგეს და უცხოეთშიც ვერ მიაღწიეს სანუკვარ ეკონომიურ კეთილდღეობას, და უფრო მეტად კი —მორალურ კმაყოფილებას.

გარექართველთა უმრავლესობამ კი შეიგნო სიმართლე ცხოვრებისა. ისინი გულწრფელად აღიარებენ, ხშირად სიამაყითაც ლაპარაკობენ ქართული საბჭოთა ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, ეკონომიურ წარმატებებზე.

ბევრმა თანამემამულემ მთელი თავისი ცხოვრება თითქმის მთლიანად უცხოეთში გაატარა, მაგრამ ჯერაც ვერ შეგუებია იქაურ გარემოს, მორალურად იტანჯება, ფიზიკურად ნადგურდება სხვათა მხარეში. გამოსავალი გზა კი ვერ უპოვნია.

— რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს?

— მე მინდა ვუთხრა ყველა მათგანს: არ დაივიწყონ ქართული ენა, არ დაივიწყონ საქართველო. ცხოვრების აზრი და სიხარული მხოლოდ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულში, მისი ინტერესებისადმი უანგარო სამსახურში მდგომარეობს.

მე მინდა ვურჩიო მათ: გვეწვიონ საქართველოში და საკუთარი თვალით იხილონ ყოველივე. ჩვენი ქვეყანა ძველთაგანვე განთქმულია სტუმართმოყვარეობით, იგი არც თავის შვილებს ჰკრავს ხელს. ღიაა საქართველოს სასტუმრო გზა, ოღონდ ამ გზაზე სტუმარს თან უნდა მოჰყვეს შეუბღალავი სინდისი, ნათელი გონება და მხურვალე გული მამულიშვილისა.

ეს არის გზა მათი ხსნისა და გამარჯვებისა.

გ. კავთიაშვილი.



სოფელ იყალთოში ცხოვრობს 94 წლის ნიკო პაპალაშვილი. ჭაღარამოსილ მოხუცს ამას წინათ იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი გადაეცა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ჯერ კიდევ ძალიან მხნედ არის. დილით ტყეში ფიჩხზე მიდის. შემდეგ ვენახში ნახავთ. მზრუნველად უვლის ვაზს და ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს. სასიამოვნო საქმეა, როგორ ჩეხს შეშას — ახალგაზრდაც კი შენატრებდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ღარიბი გლეხის შვილი აქტიურად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ნ. პაპალაშვილს ხშირად აპატიმრებდნენ.

რევოლუციის შემდეგ პაპალაშვილი მთელი არსებით ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. სათავეში ედგა გლეხთა კომიტეტს, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა მიწის რეფორმის გატარებაში, ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას. ზედიზედ რამდენიმე წელიწადს ირჩევდნენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად.

* * *

სურათებზე: ნ. პაპალაშვილი გაზეთს უკითხავს თავის მეუღლეს; ნ. პაპალაშვილი კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობაზე; იყალთოს ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე გ. შათირიშვილი ანგარიშს უწევს ძია ნიკოს აზრს — ის ხომ ღვინის დიდი მცოდნეა.

ფოტო გ. კიკვაძისა და მ. თელიაშვილისა.





სერგო კლდიაშვილი

ჭინკა-ბიჭები

ერთი უბნის მატიანე

1.

ოდესღაც ამ ფერდობს გვიმრალი რქმეოდა, საბალახოდ გაშვებული ადგილი ყოფილა. სამი მხრით ტყე ერტყა. აღმოსავლეთით, გორაკის თავზე წამომდგარი ეკლესიის ქვემოთ კი სოფელი იყო გაშლილი.

ახლა ამ გვიმრალს აბესაძეების უბანს უწოდებენ.

პირველად აქ ლაზარე დასახლებულა. ლაზარეს ხუთი ვაჟი ჰყოლია: იაკო, თედორე, პაპუნა, ალმასხანი და შოშიტა.

ოჯახით ცხოვრობდა ისლით დახურულ ქვიტკირის გრძელ სახლში, სადაც ზამთრობით პირუტყვსაც შემოიხიზნებდნენ ხოლმე.

როცა დრომ მოაწია, უფროსი ბიჭები დაქორწინებულან და თვითეულს, ქალიშვილების გარდა, ვაჟიც შესძენია: იაკოს — იროდიონი, თედორეს — ეზეკია, პაპუნას — ივანე, ალმასხანს — სპირიდონი, ბოლოს უმცროსმა შოშიტამ მოიყვანა ქალი და მომრავლებულ გვარეულობას კიდევ ორი ბიჭი შეეძინა: შალვა და როსტომი.

პაპა ლაზარემ იმდენ ხანს იცოცხლა, რომ შვილები კინაღამ სიბერეში დაეწივნენ, ხოლო შვილიშვილები მოწიფულობაში შევიდნენ. ბევრი გასაჭირის გადამტანი, მოხუცობაში მშვიდად ცხოვრობდა და მშვიდადვე მიიცვალა: წინაკართან რომ საჩრდილობელი ბუოლის ძირში გათლილი ქვა იდო, იქ ჩამომჯდარს სამუდამოდ ჩაეძინა.

2.

მალე ეს დიდი ოჯახიც დაირღვა. ძმები გაიყვნენ და ცალკე გავიდნენ. მამისეული სახლი, წესისამებრ, უმცროს შოშიტას დარჩა. უფროსებმა ახალი ოდები აიშენეს, ეზოები შემორაგვეს და თავთავისთვის ვაზი ჩაყარეს... გვიმრალზე, სადაც წინათ ლაზარე ესახლა, ოთხი ახალი კერა გაღვივდა.

ასე იყო და ასე გაჩნდა აბესაძეების უბანი.

წლები წავიდა. ლაზარეს შვილიშვილებმაც იქორწინეს და მათაც ვაჟები შეემატათ: იროდიონს —აბესალომი, ეზეკიას — სანდრო, ივანეს — იასონი, სპირიდონს — დავითი, შალვას — ლასია და გრიგოლი, როსტომს — ლაზარე.

ცისკრიდან სამხრობამდე, დარში თუ ავდარში, მამაკაცები ყანასა და ვენახში მუშაობდნენ. ხუთი სახლის სახურავიდან კერიის კვამლი ბოლავს. ქალები შინ საქმიანობენ, პატარებს კი სადმე ეზოში თავი მოუყრიათ, კენჭობათი ერთობიან, ან სათამაშო ურიკელას აკოპიტებენ. მზე აცხუნებს, გარემო, სიჩუმეში მხოლოდ ჭიჭინების საგალობელი ისმის. მესერზე მიბმული ხბო თუ დაიბღავლებს ხოლმე, ან ღობეზე შემხტარი მამალი იყივლებს.

გამოცოცხლდება უბანი საღამო ხანს, როცა მამაკაცები ყანიდან დაბრუნდებიან. ეზოებს მათი ხმა ალვიძებს. დედაკაცები ოჯახის პატრონებს თავს დასტრიალებენ და პატარებსაც საზრუნავი უჩნდებათ — ცივი წყლის მოსატანად წყაროსაკენ მიტყაპუნობენ. მიდიან, მიიჩქარიან თამაშით, ყვირილით, თუნგულებს ავსებენ და, ბატის ჭუკებივით გაბაწრულნი, ბრუნდებიან.

დაივახშმებენ, კერიის ცეცხლს ნაცარში გახვევენ და უბანი ისევ სიჩუმეში იძირება. მთვარე ცვარს აყრის მიწას, ორღობეში მუქი ჩრდილი წევს და კალიების ძილისპირული სოფლის სიმშვიდეს უნანავებს.

ამ შვიდ ბარტყს — ჭინკა-ბიჭებს, როგორც მათ ეძახდნენ — ბუნებით დაწესებული ბავშვობა ხანმოკლე ჰქონდათ. ბედმა ისე ინება, რომ უდარდელი წლები ერთბაშად მოსწრაფებოდათ. აღარც კენჭობაა და ურიკელა, აღარც პანტის საპოვნელად ტყეში ხეტიალი, — უცბადვე წარსულად იქცა ყველაფერი.

ჭინკა-ბიჭების მამები, რუხ ფარაჯებში გადაცმულნი, შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვილჰელმთან საომრად. ქმრების ჩოხა-ახალუხი კი დედაკაცებმა სათუთად შეინახეს სკივრში — უკანას მოვლენ და რიგზე დახვდებათო.

წავიდნენ ოჯახის უფროსები და მაშინ პირველად დადუმდა აბესაძეების უბანი.

3.

სახნისზე მოკიდება, ტვირთის ზიდვა და სხვა სავაჟკაცო მოვალეობა პატარებს დაეწვათ კისერზე. შვიდივემ ნაადრევად იგრძნო ცხოვრების სუსხი და იგემა მისი სიმწარე. მათ ბავშვურ სახეს ის მკაცრი იერი შეერია, მოწიფულ მამაკაცებს რომ აქვთ.

დიდხანს ელოდნენ ქალები თავიანთ პატრონებს, მაგრამ მათგან ბოლოს მხოლოდ ერთი დაბრუნდა — ყუვარჯნეზე დაყრდნობილი იროდიონი. ის დღესაც დაბოგინობს და ცოცხალი ფეხის ნაცვლად თავისი ხელით გამოთლილ მუხის კეტს მიითრევს. მეზობლების მოსიყვარულეა და ყველასთან ხალისიანი შეხვედრა იცის, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირს: ვენახს სხლავს თუ ცას შეჰყურებს, მინდორშია თუ ღამით კერიას უზის, მხოლოდ ის დღეები უდგას თვალწინ, როცა ბრძოლის ველზე სიკვდილთან დაძმობილებული იყო. თითქოს სხვა არაფერი ენახა ამქვეყნად, არც ახალგაზრდობა ჰქონდა არასოდეს, არც რაიმე კეთილად მოსაგონარი.

დრო, თურმე, კეთილი მკურნალია. ყველას გაუყუჩა და მოუშუშა ტკივილი. პატარები, ოდესღაც ის ჭინკა-ბიჭები, დავაკაცდნენ, სკივრებიდან ამოალაგეს დიდი ხნის წინათ გამოტირებული და მივიწყებული მამების ჩოხა-ახალუხი და მალე კიდევაც დაქორწინდნენ...

მაგრამ ის-იყო დასრულდა მაყრიონის ლხინი ყველაზე უმცროს ლაზარეს სახლში, შვიდივე ომში წავიდა ჰიტლერთან საბრძოლველად.

წავიდნენ და არც ერთი არ დაბრუნებულა.

მაშინ მეორედ დადუმდა უბანი. ეზოებში ჩანდნენ მხოლოდ შავებში მოსილი ახალგაზრდა ქვრივები.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვინახულე სამშობლო კუთხე.

ერთ მზიან დღეს სოფელში სახეტიალოდ გავედი.

ბევრი რამ, რასაც გარშემო ვხედავდი, ჩემს შორეულ წარსულს მაგონებდა... აი, ის ძელქვა, რომლის ძირში ბავშვმა ერთხელ წვიმის დროს თავი შევაფარე. სულ ისეთია,როგორც ოდესღაც მინახავს, მაღალი და ტოტებგაშლილი. წლებს ოდნავადაც არ შეუცვლია... აი, ნამეხარი ბებერი ჭადარი, რომლის ტანი ძველადაც ფუღუროდ იყო ქცეული. დრო იყო აქამდისაც წაქცეულიყო, მაგრამ ის ჯიუტად ჩაბღაუჭებია მიწიდან ამოკლაკნილ დიდ ფესვებს და ძირში ორიოდე მწვანე მორჩიც მოუსხამს... გზაჯვარედინთან ძველი ტყე გაუკაფავთ, მაგრამ ახალი ამოყრილიყო და მწვანედ ბიბინებდა...

გზას გავყევი და იმ ადგილს ჩავუარე, სადაც აბესაძეების უბანი იყო. ეზოებში სიჩუმეა, არავინ არ ჩანს. სახურავების თავზე კვამლი ამოდის და მალე ეთერში ზანტად მიიწევს. საჩრდილობელი ბუოლის ხის ქვეშ გათლილი ქვა იდო... სევდიანად გადავავლე თვალი უბანს და გავშორდი.

მივყევი ორღობეს და მალე წყაროს მივუახლოვდი.

შორიახლოდან ჯერ ბავშვების ხმა მომესმა და მერე თვითონ ისინიც დავინახე. ხუთი დათვალე — ჯირკუტანა, ტალიკი ბიჭები იყვნენ. ერთმანეთს წყალს ასხურებდნენ, ხარხარებდნენ და გაწუმპული დახტოდნენ წყაროს ირგვლივ. თამაშობით გული იჯერეს თუ არა, ავსეს თუნგულები, გაიბაწრნენ ბატის ჭუკებივით და წამოტყაპუნდნენ.

რაღაც უნაზესმა მოგონებამ გაიდვიძა ჩემში უეცრად, გადავუდექ მათ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე:

— ვინ ხართ, ვისი ხართ, ბიჭებო?

გაკვირვებით შემომხედეს უცხოს და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამამი იყო, პასუხი არ დააყოვნა:

— აბესაძეების ვართ, ეგერ, იმ უბნიდან.

კიდევ ერთხელ შემავლეს თვალი და გაიბაწრნენ დუმილით. როცა ისინი მოსახრელთან მივიდნენ, ვეღარ მოვითმინე და ხმა დავაწიე:

— ეჰეი, ჭინკა-ბიჭებო, ეჰეი!

შეჩერდნენ, გაოცებით შემომხედეს, უცბადვე შეტრიალდნენ, აირივნენ და მხიარული კიოფინით მოკურცხლეს.

მოწყურებული, ხარბად დავეწაფე წყაროს და ისევ იმ გზით გამოვბრუნდი. ბროწეულის ყვავილების ცეცხლი მოსდებოდა ორღობეებს. გადამწიფებული ალუჩა მოწითალო მტევნებად ეკიდა ტოტებზე და იქ, სადაც ნაყოფი მიწაზე დაცვენილიყო, მაჭრის მსგავსი ტკბილი სურნელი იდგა. ჩემს ახლო შავი ავარდა ბუჩქიდან და ჭახჭახით გადმოიარა. გარშემო ჭიჭინების დაუცხრომელი საგალობელი ისმოდა. მზე დადგრილიყო მთელ გარემოზე.

ფარსვლის ფერხულები

ბევრი ქართველი მეცნიერი ეწეოდა უცხოეთში მეცნიერულ მუშაობას. ბევრი მათგანი საქვეყნოდ განთქმული მკვლევარი იყო და ნაყოფიერად იღწვოდა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალანია**, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა ევროპასა და აზიაში.

პროფესორ მალანიას შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ მცირე რამ იცის საქართველომ მის შესახებ. ინგლისურ გაზეთებში მოთავსებული ნეკროლოგიდან, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გადმოუქართულებიათ და დაუბეჭდავთ 1894 წელს, ჩანს, რომ მალანია დაბადებულა 1812 წელს შვეიცარიაში. აქვე მიუღია სწავლა-განათლებაც. სადოქტორო დისერტაცია ლონდონში დაუცავს და დაუნიშნავთ პროფესორად კალკუტის (ინდოეთი) უნივერსიტეტში. 1844 წელს იგი ინგლისის აკადემიის წევრად აურჩევიათ და საცხოვრებლად ინგლისში გადასულა.


პროფესორი მალანია ქართული კულტურის მოამაგედ გვევლინება. მას ინგლისურ ენაზე უთარგმნია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) ქადაგებანი. როგორც ცნობებიდან ჩანს, მალანია სტუმრად ყოფილა გაბრიელთან 1872 წელს ომერეთში.

გარდა ამისა, მალანიამ ინგლისურ ენაზე თარგმნა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, ქართული ლოცვები და მრავალი სტატია მოათავსა ევროპის პრესაში საქართველოს კულტურაზე. მალანია 40 სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა და წერდა. მისი ხელნაწერები ინახება ოქსფორდის უნივერსიტეტის მუზეუმში.

გამოჩენილი მკვლევარი განსწავლული მხატვარიც ყოფილა. მისი ნახატები მიმობნეულია პალესტინის, კერძოდ იერუსალიმის ეკლესიებში.

ამ გამოჩენილი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მეტი ცნობები არ მოგვეპოვება.

99/77



საბაგირო გზის ერთ-ერთი სადგური ქ. ჰაათურაში. ფოტო ბ. დადვაძისა

სპორტული მიმოხილვა

□ ფეხბურთის ირგვლივ
□ ა. მეტრეველის წარმატება
□ საერთაშორისო ტურნირები ჰადრაკში

ხუთი თამაშიდან რვა ქულა, ასეთი შედეგით დაბრუნდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები შინ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არნახული შედეგია, რადგან როგორც წესი, გასვლითს თამაშებში ქულები იკარგებოდა. ქუთაისში ფრე — 1:1, ერევანში, ლენინგრადსა და მინსკში გამარჯვება — 1:0, 1:0, 4:2, ფრე — 1:1 ბაქოში. შემდეგ ორი თამაში თბილისში. სსრ კავშირის ჩემპიონთან კიევის „დინამოსთან“ მატჩი ერთგვარი ცენტრალური იყო და მთლიანად გაუმართლა იმედები გულშემატკივრებს, რომლებმაც ნახეს მაღალი კლასის ფეხბურთი. ჯერ თბილისელები დაწინაურდნენ, მურთაზ ხურცილავამ ულამაზესი გოლი გაიტანა. კიეველებმა შეძლეს ბურთის გაქვითვა, და საინტერესო მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა. მატჩი ოდესის „ჩერნომორეცთან“ თბილისელებმა მოიგეს — 1:0 და ახლა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე არიან.

წარუმატებლად ითამაშეს ქუთაისელებმა გასვლითს მატჩებში, მათ მხოლოდ 1 ქულა აიღეს, სამაგიეროდ სახლში დაამარცხეს „ჩერნომორეცი“ — 2:0 და 1:1 ითამაშეს კიევის „დინამოსთან“.

როდესაც საბჭოთა ნაკრებმა გლაზგოში შოტლანდია დაამარცხა (2:0), გაზეთებმა ერთხმად აღნიშნეს მ. ხურცილავას ბრწყინვალე თამაში. მან სრულიად გამოთიშა ცნობილი ფეხბურთელი დენის ლოუ, და შოტლანდიელთა მწვრთნელი იძულებული გახდა შეეცვალა იგი მეორე ტაიმში. ასევე წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები ევროპის ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატზე. თბილისელებმა კანთარიძემ და ჰოხონელიძემ, ქუთაისელმა ღ. ნოდიამ სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს როგორც პერსპექტიულმა მოთამაშეებმა, ხოლო მცვლი კანთელაძე ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად იქნა აღიარებული.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ბევრს ვწერთ ალექსანდრე მეტრეველზე, ვწერთ სიამოვნებით, იმიტომ რომ ქართველი ჩოგბურთელი წარმატებით გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და გამარჯვებებს აღწევს. ალექსანდრე მეტრეველმა, რომელიც უკვე მეოთხე თვეა შინ არ ყოფილა, მრავალ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყველაზე აღსანიშნავი მაინც ის გამარჯვებებია, რომლებიც მან დევისის თასისათვის ბრძოლაში მოიპოვა.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა გუნდს არასოდეს არ მოუპოვებია ასეთი წარმატება. პირველ შეხვედრაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელების წინააღმდეგ მეტრეველმა მოუგო ი. ბუდინგს (7:5, 6:3, 1:6, 9:7), მაგრამ თ. ლეიუსი დამარცხდა ვ. ბუნგერტთან (3:6, 2:6, 5:7); შემდეგ ა. მეტრეველ-ს. ლიხაჩოვის წყვილმა მოუგო ბუდინგ-ბუნგერის წყვილს (6:3, 6:4, 9:11, 9:7), თ. ლეიუსმა კვლავ წააგო ამჯერად ი. ბუდინგთან. მატჩის ანგარიში გახდა 2:2. ყველაფერი დამოკიდებული იყო თავისი ქვეყნის № 1 ჩოგბურთელების ა. მეტრეველისა და ვ. ბუნგერტის ორთაბრძოლაზე. ეს გადამწყვეტი მატჩი უაღრესად დაძაბული იყო, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 6:2, 4:6, 4:6, 6:2, 7:5. ამრიგად, საბჭოთა გუნდმა დაამარცხა მოწინააღმდეგე, რომელიც შარშან პირველი იყო ევროპის ზონაში.

აი რას წერდა ა. მეტრეველზე გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“. „ძნელია იპოვნო სიტყვები თბილისელი სტუდენტის, 22 წლის ალექსანდრე მეტრეველის გამოსვლებზე დევისის თასის გათამაშებაში, უფრო სამართლიანი სიტყვებს, როგორიც არის სპორტული გმირობა, ვერ მონახავ“, „ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი შესანიშნავი ორთაბრძოლა“, — განაცხადა საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ს. ანდრეევმა.

ხოლო როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჟურნალმა „ტენისმა“ ჩაატარა ცნობილი სპეციალისტების გამოკითხვა, „ვინ არის უძლიერესი ახალგაზრდა ჩოგბურთელი ევროპაში?“, ყველამ ერთხმად უძლიერესად ქართველი ჭაბუკი დაასახელა.

გერმანელების შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელები დანიის ნაკრებს შეხვდნენ. აქაც გამარჯვება საერთო ანგარიშით 3:2, და აქაც გადამწყვეტ პარტიაში მეტრეველმა კვლავ წარმატება მოუტანა თავის გუნდს.

ახლა ჩვენი ჩოგბურთელები შეხვდებიან ჩილის სპორტსმენებს, და თუ პირველი ორი შეხვედრა მოწინააღმდეგეთა კორტებზე მიმდინარეობდა, მესამე მატჩი ჩვენს ქვეყანაში გაიმართება, მანამდე კი ა. მეტრეველი მონაწილეობას იღებს საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. მან უკვე მოიგო ორი შეხვედრა, დაამარცხა შვედი ოლანდერი (7:5, 6:2, 7:5) და უნგრელი სიქსაი (6:1, 4:6, 6:1, 6:2).

ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ბევრი საჭადრაკო ტურნირი — მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, კიევსა და ლვოვში. აქედან ქალთა და გოგონათა ტურნირებში (კიევსა და ლვოვში) მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, გოგონების ტურნირში კი სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონებს შორის ც. კობაიძე.

კიევში უკვე გაიმართა 6 ტური. ჯერჯერობით ქართველი ჩემპიონები 2-3 ადგილებს იყოფენ და ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

საბჭოთა კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადა ახლოვდება. ახლა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები გაცსოველებით ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისათვის. მიმდინარეობს ქალაქების, რესპუბლიკის სპარტაკიადები, რომლებზეც საბოლოოდ დადგინდება საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, რადგან სწორედ ამ სახეობებში მოპოვებულ ქულებს აქვს ყველაზე მეტი ფასი.

ო. ლორთქიფანიძე.

დაგეძებენ, მოგელიან

კონსტანტინე (კოწია) ილიას-ძე ჭუთათელაძეს, დაბადებულს 1921 წელს ქ. ჭუთაისში, ეძებენ დები — უენია და ალექსანდრა (შურა) ჭუთათელაძეები.

ირაკლი დიმიტრის-ძე კობიაშვილს, დაბადებულს 1906 წელს სოფელ მარტყოფში, ეძებენ მეუღლე — ქეთო ნიკოლოზის ასული, შვილები — ნაზიკო და შოთა, რძალი ცირა, შვილიშვილები: ქეთინო და ირაკლი კობიაშვილები.

გრიგოლ (გრიშა) ევგენის-ძე ქოიავას (ცახავას), დაბადებულს 1922 წელს, სოფელ აბაშაში (აბაშის რაიონი), ეძებენ დედა — მინადორა დიმიტრის ასული, და — ნაზი ქოიავები.



კონსტანტინე ჭუთათელაძე.



გრიგოლ ქოიავა.



ირაკლი კობიაშვილი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოისმინეთ საქართველოს

საქართველოს სარედაქციო კოლეგია:

ვის საქართველო

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25